

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ დვაბზუს მაჟორიტარი დეპუტატის როზეტა სკამკოჩაიშვილის ანგარიში

უფლებამოსილების დღიდან 2014 წლის 2 აგვისტოდან 2015 წლის 5 იანვრამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

დიდ ილიას უთქვამს „კაცად მაშინ ხარ საქები,

თუ ეს წესი წესად დარგე,

ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე,

აბა მე დღეს ვის რა ვარგე“

დიდი სურვილი მაქვს, რომ ვიყო ხალხისა და ქვეყნის სამსახურში, მინდა გამოვადგე ჩემს სოფელს, ამომრჩევლებს ვინც მე ნდობა გამომიცხადა, ამ დიდი სურვილით ჩავები საკრებულოს საქმიანობაში.

2014 წლის 2 აგვისტოდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს წევრი, ფრაქცია “ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, „სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

საკრებულოს უფლებამოსილებიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 13 სხდომაში, სადაც მიღებული იქნა 95 განკარგულება, დამტკიცდა 42 დადგენილება. მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ 5 სხდომაში, მათ შორის ერთი ერთობლივი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებთან, ქართული ოცნება–რესპუბლიკელები“ და ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ორ კომისიაში, 11 სხდომა ჩატარდა სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში, 12- განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში.

როგორც საკრებულოს წევრი ქალი და ოზურგეთის გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს წევრ ქალთა მეორე ფორუმში (03.11.2014წ. თბილისი, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია), რომელიც დაფუძნდა 2013 წლის მაისში და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე არჩეულ ყველა ქალბატონს. ფორუმის მუშაობის ფარგლებში შევხვდით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებს. ფორუმზე აქტიური და საქმიანი იყო

ოზურგეთის დელეგაცია,სადაც თითოეულმა ჩვენთაგანმა დავაყენეთ ჩვენი სოფლის პრობლემები.

ოზურგეთის ქალ დეპუტატებთან ერთად ვიყავი ქუთაისში პარმალენტის წევრებთან შეხვედრაზე,სადაც ასევე საქმიანი და მნიშვნელოვანი იყო ოზურგეთის დელეგაციის გამოსვლა.

2014 წლის 2 აგვისტოდან დღემდე მქონდა 7 შეხვედრა მოსახლეობასთან,სადაც ჯამში 68 მოქალაქე დაესწრო.შეხვედრის დროს გამოიკვეთა პრობლემები:

დვაბზუში შიდა გზების მოხრეშვა, წყლისა და გაზის პრობლემის მოგვარება ;

გაღმა დვაბზუში შიდა გზების მოწესრიგება,სანიაღვრე არხების გაწმენდა,გზის სავალ ნაწილზე მილხიდების შეცვლა.გაზიფიცირებული უბნების ჩართვა ქსელში და დარჩენილი უბნების გაზიფიცირება.

გარე განათების მოწესრიგება,სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარება, ნაგვის ურნების დამატება. ასევე, აქტუალურია დასაქმების პრობლემა.

2014 წლის სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხით, გაღმა დვაბზუში შეიღობა სასაფლაოს ტერიტორია, ნაწილობრივ გარემონტდა საბავშვო ბაღი,მდინარე სტოლონქროზე გაკეთდა ხიდი,ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

დვაბზუში დასრულდა ადმინისტრაციული შენობის რემონტი, კეთილმოწყობილია საბავშვო ბაღი. დაიდგა ახალი თანამედროვე ამბულატორიის შენობა თავისი აღჭურვილობით.

ერთჯერადი დახმარება გაეწია სოფლის მოსახლეობას,სტიქიით დაზარალებულმა მოსახლეობამ მიიღო სახურავი.

2015 წლის სოფლის პროგრამით გათვალისწინებულ ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველობა გამოიყენებს მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ჩემი დიდი სურვილია, ვაკეთო კეთილი საქმე, დავეხმარო გაჭირვებულ ადამიანებს, ხელი გავუწოდო ყველას, მოვუსმინო, გავიზიარო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და თანადგომით გადავწყვიტო ჩემი თემის პრობლემები.

როზეტა სკამკოჩაიშვილი

22.01. 2015 წელი

